

შპს „ჯეოფაიფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-17
-------------------------------	------

შპს "ჯეოფაიფ"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	2019	2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,314,183.61	2,398,681.54
არამატერიალური აქტივები	4,468.80	1,560.49
საინვესტიციო ქონება	524,764.84	209,754.24
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,843,417.25	2,609,996.27
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	24,231.84	43,761.09
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4,292,794.24	2,342,787.77
მარაგები	4,725,144.24	4,382,618.35
სულ მოკლევადიანი აქტივები	9,042,170.32	6,769,167.21
სულ აქტივები	11,885,587.57	9,379,163.48
მოთიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,474,961.84	2,273,035.31
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3,366,703.02	2,493,396.65
სულ კაპიტალი	5,841,664.86	4,766,431.96
ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	950,000.00	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	950,000.00	-
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	1,025,760.00	215,427.30
გადასახელი ხელფასები	3,676.00	3,160.00
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,971,902.16	4,264,683.09
საგადასახადო ვალდებულებები	92,584.55	129,461.13
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,093,922.71	4,612,731.52
სულ ვალდებულებები	6,043,922.71	4,612,731.52
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	11,885,587.57	9,379,163.48

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



შპს "ჯეოფაიფ"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	2019
ამონაგები	18,751,137.85
თვითღირებულება	(13,851,942.16)
საერთო მოგება	4,899,195.69
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,407,602.89)
საოპერაციო მოგება	3,491,592.80
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	82,824.90
საპროცენტო ხარჯები	(22,846.59)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	(69,867.48)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(10,769.26)
განსაკუთრებული ხარჯები	(73,609.14)
მოგება დაბეგვრამდე	3,397,325.23
გადახდილი მოგების გადასახადი	(107,003.99)
გაუნაწილებელი მოგება	3,290,321.24

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



შპს "ჯეოფაიფ"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	2273035.31	2493396.65	4766431.96
2019 წ. გაუნაწილებელი მოგება	0.00	3290321.24	3290321.24
პერიოდის სრული შემოსავალი	0.00	3290321.24	3290321.24
გაცემული დივიდენდი	0.00	-2417014.87	-2417014.87
საწესდებო კაპიტალის ზრდა	201926.53		201926.53
2019 წლის 31 დეკემბერი	2474961.84	3366703.02	5841664.86

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი :



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეოფაიფ“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 13 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404968282.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო -საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით. შპს „ჯეოფაიფ“ საქართველოს ბაზარზე ახდენს 300 – მდე დასახელების საქონლის იმპორტს, ესენია: სხვა და სხვა მოდელების და სიმძლავრის გათბობის ქვაბები, სხვა და სხვა ზომის პანელური და სექციური რადიატორები, საფართოებელი ავზები, ბოილერები, საიზოლაციო მილები, კოლექტორები, კანალიზაციის და წყლის მილები და ფიტინგები. კომპანია აღნიშნული პროდუქტების იმპორტს ახორციელებს ძირითადად თურქეთიდან, ასევე ჩინეთიდან და იტალიიდან.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია ერთი საწყობი ქ. თბილისი, წერეთლის 110, ბაქრაძის 3/5. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, წყნეთის გზატკ., №39, ბ. 98. 2019 წ-ის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სევილ მამედოვი. კომპანიის დირექტორია თეიმურაზ ჯაფარიძე. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019წ 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2474961.84 ლარს. 2019 წ-ის 31 დეკემბრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 40 ადამიანი.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი

თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 12 თვემდე. 12 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეცხლებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	20 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	10 წელი
სარეკლამო ბანერები	10 წელი
ინვენტარი	10 წელი
ავეჯი	10 წელი
სხვა ინვენტარი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	ევრო	აშშ დოლარი	თურქული ლირა
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2095	2.8677	0.4821

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	საინვესტი ციო ქონება	შენობები	კომპიუ ტერულ ი ტექნიკა და პერიფერ იული	ოფისის აღჭურვი ლობა	სარეკლამო ბანერები	ინვენტარ ი	ავტო მობილური	სხვა ინვენ ტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	ჯამი
ლარში												
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	209,754	2,118,644	6,042	8,584	9,610	2,491	2,454	681	258,671	24,412	2,641,342
შესყიდვა	-	315,011	-	5,119	-	-	492	614	-	47,840	-	369,074
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	11,360	-	11,360
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	524,765	2,118,644	11,161	8,584	9,610	2,983	3,068	681	295,150	24,412	2,999,057

დაგროვილი ცვეთა

2018 წლის ბოლოს მდგომარეობით			8,828	1,262	2,480	1,428	327	980	323	13,414	3,865	32,907
ცვეთის ხარჯი	-		105,932	647	858	961	294	251	68	15,749	2,441	127,201
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა												-
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	-		114,760	1,909	3,338	2,389	621	1,230	391	29,163	6,306	160,108

საბალანსო ღირებულება

2018 წლის ბოლოს	-	209,754	2,109,816	4,779	6,104	8,183	2,165	1,475	357	245,256	20,547	2,608,436
2019 წლის ბოლოს	-	524,765	2,003,884	9,251	5,245	7,222	2,362	1,837	289	265,987	18,106	2,838,948

არამატერიალური აქტივები

ღარი

2018 წლის ბოლოს

შემოსავლა

გასვლა

2019 წლის ბოლოს

პროგრამები	იიცენზიულ	სხვა	ჯამი
3,198			3,198
3,270			3,270
			-
6,468	-	-	6,468

დაგროვილი ამორტიზაცია

2018 წლის ბოლოს

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი

გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

2019 წლის ბოლოს

პროგრამები	იიცენზიულ	სხვა	ჯამი
1,638			1,638
362			362
1,999	-	-	1,999

საბალანსო რირებულება

2018 წლის ბოლოს

2019 წლის ბოლოს

პროგრამები	იიცენზიულ	სხვა	ჯამი
1,560	-	-	1,560
4,469	-	-	4,469

ფული და ფულის ექვივალენტები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
ფული სალაროში	1,351.97	7,574.31
ფული საბანკო ანგარიშებზე	22,879.87	36,186.78
	24,231.84	43,761.09

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4,338,598.06	2,622,059.68
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	(299,702.05)	(299,702.05)
სხვა მოთხოვნები	253,898.23	20,430.14
	4,292,794.24	2,342,787.77

მარაგები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
საქონელი	4,723,147.59	4,381,618.21
სხვა მარაგები	1,996.65	1,000.14
	4,725,144.24	4,382,618.35

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო ვალდებულებები	3,971,902.16	4,264,683.09
გადასახელი ხელფასები	3,676.00	3,160.00
მოკლევადიანი სესხები	1,025,760.00	215,427.30
საგადასახადო ვალდებულებები	92,584.55	129,461.13
	5,093,922.71	4,612,731.52

ამონაგები

ლარი	31/12/2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	18,751,137.85
	18,751,137.85

თვითღირებულება

ლარი	31/12/2019
მზა პროდუქციის თვითღირებულება	13,851,942.16
	13,851,942.16

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2019
საგარანტიო მომსახურებები	58,800.00
ავტომობილების იჯარის ხარჯი	6,826.56
შრომის ანაზღაურება	847,478.56
მივლინების ხარჯები	5,094.45
მიმდინარე რემონტის ხარჯები (საერთო ადმინისტრაციული)	16,843.44
საბანკო მომსახურების, საკომისიოს და ინკასაციის ხარჯები	8,647.85
დაზღვევის ხარჯები	35,387.88
საიჯარო ქირის ხარჯი	91,525.44
კომუნალური ხარჯები	2,103.55
ძირითადი საშუალებათა ქონების გადასახადი	27,236.91
ცვეთა და ამორტიზაცია	129,081.49
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	54,968.32
მომსახურების ხარჯები	27,089.65
საერთო დანიშნულების საწვავის ხარჯი	96,518.79
	1,407,602.89

სხვა შემოსავალი/ხარჯი
ლარი

31/12/2019

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	(82,824.90)
საკუთრო სხვაობით მიღებული შემოსავალი	(27,445.00)
საკუთრო სხვაობით მიღებული ზარალი	97,312.48
ბანკის სესხის პროცენტი	22,846.59
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	10,769.26
განსაკუთრებული ხარჯები	73,609.14
	94,267.57

1. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის განაწილების შესახებ;


